

# საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი



ვამტკიცებ: -----

სსსსუ-ს რექტორი  
სრული პროფესორი  
გელა ჯავახიშვილი

**მოგილობის ფარგლებში გადმოსულ  
სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი**

**განხილულია:**

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო  
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ  
ოქმი № , 2008 წ.

**შეთანხმებულია:**

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო  
სამეურნეო უნივერსიტეტის ხარისხის  
უზრუნველყოფის სამსახურთან

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო  
სამეურნეო უნივერსიტეტის  
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან

**მობილობის ფარგლებში გადმოსულ სტუდენტთა  
კრედიტების აღიარების წესი**

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო  
უნივერსიტეტში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო  
დაწესებულებებიდან მობილობის ფარგლებში გადმოსულ  
სტუდენტთა კრედიტების აღიარება ექვემდებარება შემდეგ პრინციპებს:

1. CTS (კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა) კრედიტებთან შესაბამისობა;
2. სტუდენტის მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმთან შესაბამისობა;
3. საუნივერსიტეტო კურიკულუმთან შესაბამისობა (ეს ეხება ე. წ. თავისუფალ კრედიტებს).

კრედიტების აღიარების მიზნით თითოეულ ფაკულტეტზე იქმნება სპეციალური კომისია (ან კომისიები, ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე), რომელშიც შედის:

1. შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი /კოორდინატორი ან მის მიერ რეკომენდირებული პირი (აკადემიური პერსონალი/ ხელშეკრულებით ან საათობრივი წესით მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი);
2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი/ წარმომადგენლები;
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება და მისი ტექნიკური დამუშავება უნდა დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

კრედიტების აღიარების პროცედურა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობის ფარგლებში გადმოსვლის მსურველი სტუდენტების კრედიტების აღიარება ხორციელდება შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

1. ე. წ. საფაკულტეტო საგნების კრედიტების აღიარება (იგულისხმება ის საფაკულტეტო საგნები, რომლებიც სტუდენტს ანიჭებენ ამა თუ იმ აკადემიური ხარისხის მისაღებად საჭირო ზოგად დარგობრივ კომპეტენციებს. მაგალითად, ბიზნეს მართვის, ტექნოლოგიის, სოფლის მეურნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სხვ.);
  2. სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი საბაკალავრო პროგრამის (მაჯორ) კრედიტების აღიარება;
  3. ე. წ. თავისუფალი კრედიტების აღიარება (ე. წ. თავისუფალ კრედიტად შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ ისეთი საგანი, რომლის ეკვივალენტიც არსებობს საუნივერსიტეტო კურიკულუმში, ანუ სხვა ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებში. შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე).
- იმის გამო, რომ ე. წ. თავისუფალ საგნებად მიჩნეული დისციპლინების რაოდენობა შეიძლება ასაღიარებელი კრედიტების რაოდენობაზე მეტი იყოს, ფაკულტეტი ამ საგნების ჩამონათვალიდან ირჩევს იმ საგნებს, რომლებშიც

სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასებები აქვს მიღებული

მას შემდეგ, რაც სტუდენტი წარმატებით ჩააბარებს გადმოსაყვან გამოცდას, შესაძლებელია მას გაეწიოს რეკომენდაცია, თუ რომელ დამატებით, ე. წ. მინორ საბაკალავრო პროგრამას შეესაბამება მისი ე. წ. თავისუფალი კრედიტები.

### კრედიტების აღიარების რეგულაციები:

1. თუ სტუდენტის მიერ მშობლიურ უნივერსიტეტში გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა სსსსუ -ს საგნის დასახელებასა და კრედიტებს, მაშინ მისი აღიარება ხდება ავტომატურად.

2. თუ სტუდენტის მიერ მშობლიურ უნივერსიტეტში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება სსსსუ-ს შესაბამისი საგნის კრედიტების რაოდენობას, მაშინ ხდება იმდენი კრედიტის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს სსსსუ-ს კურიკულუმი (მაგალითად, თუ სტუდენტს მოსმენილი აქვს ესა თუ ის 10 კრედიტიანი კურსი, ხოლო სსსსუ-ში ანალოგიური კურსი 5 კრედიტიანია, მაშინ სტუდენტს ვუღიარებთ მხოლოდ 5 კრედიტს).

3. თუ სტუდენტის მიერ მშობლიურ უნივერსიტეტში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა ნაკლებია სსსსუ-ს შესაბამისი საგნის კრედიტების რაოდენობაზე, მაგრამ ეს რაოდენობა არის 5 ან 5-ზე მეტი, მაშინაც ხდება იმდენი კრედიტის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს სსსსუ-ს კურიკულუმი (მაგალითად, თუ სტუდენტს მოსმენილი აქვს 5 ან 6 კრედიტიანი კურსი, ხოლო სსსსუ-ში ანალოგიური საგანი 10 კრედიტიანია, მაშინ სტუდენტს ვუღიარებთ 5 კრედიტს, რადგან საბაკალავრო პროგრამების აბსოლუტურ უმრავლესობაში კურიკულუმი ეფუძნება 5-ის ჯერადი კრედიტების მქონე სასწავლო კურსებს).

4. თუ სტუდენტის მიერ მშობლიურ უნივერსიტეტში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტები ნაკლებია სსსსუ-ს შესაბამისი საგნის კრედიტებზე და მათ შორის სხვაობა არის 1 კრედიტი, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარება ხდება, მაგრამ თუ სხვაობა 2 კრედიტია, მაშინ ამ დისციპლინის კრედიტების აღიარების საკითხს წყვეტს ფაკულტეტი (მაგალითად, თუ სტუდენტს მოსმენილი აქვს 3 კრედიტიანი კურსი, ხოლო სსსსუ -ში ანალოგიური საგანი 5 კრედიტიანია, ანუ სხვაობა არის 2 კრედიტი, ფაკულტეტი წყვეტს აღიაროს თუ არა ეს დისციპლინა).

5. თუ სტუდენტის მიერ მშობლიურ უნივერსიტეტში გავლილი სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა სსსსუ-ს საგნების დასახელებას, ფაკულტეტმა შესაძლებელია ზოგადი ხასიათის საგანი სტუდენტს უღიაროს როგორც შესავალი შესაბამის მიმართულებაში (მაგ. აგრონომია– როგორც შესავალი აგრონომიაში), ხოლო სპეციფიკური საგნების აღიარება შეიძლება მოხდეს ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების კურიკულუმის საგნებთან თემატური შეთავსების საფუძველზე (მაგ. მეცხოველეობა – შეიძლება აღიარებულ იქნას, როგორც ცხოველთა ფიზიოლოგიის საფუძველები).

6. მას შემდეგ, რაც როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურიკულუმები დაეფუძნება სწავლის შედეგებსა და შესაბამის კომპეტენციებს, სასწავლო კურსების აღიარება მოხდება სწორედ სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, შესაბამისი სილაბუსების ანალიზის შედეგად.

7. თუ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსულ სტუდენტს უცხო ენა უფრო მეტი მოცულობით აქვს გავლილი, ვიდრე ფაკულტეტის კურიკულუმი მოითხოვს, უცხო ენის დარჩენილი– კრედიტები შეიძლება აღიარებულ იქნას ე. წ. თავისუფალ კრედიტებად.

8. თუ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსულ სტუდენტს სხვადასხვა საგანში მიღებული აქვს ე. წ. დიფერენცირებული ჩათვლა–, მაშინ ხდება მისი აღიარება და შესაბამისი ქულის მითითება შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე კონვერტაციის

პრინციპების შესაბამისად. ე. წ. არადიფერენცირებული ათვლის აღიარება არ ხდება. გამონაკლისია სსსსუ-ს ყოფილი ფილიალების სტუდენტები. მათ ე. წ. ათვლა უღიარდებათ როგორც გამსვლელი, 51 ქულა. იმ შემთხვევაში, თუ ყოფილი ფილიალის სტუდენტი უკმაყოფილოა ათვლისთვის მინიჭებული ქულით, მან უნდა ჩააბაროს გამოცდა აღნიშნულ საგანში. აღნიშნული სასწავლო კურსებისთვის კრედიტის მინიჭება ხდება მოსმენილი საათების რაოდენობიდან გამომდინარე (მაგალითად, თუ სტუდენტი ისმენდა სასწავლო კურსს კვირაში ორჯერ, ერთი სემესტრის, ანუ 15 კვირის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ მიიღო დიფერენცირებული ჩათვლა (ყოფილი ფილიალის სტუდენტების შემთხვევაში უბრალოდ ჩათვლა), ამ საგანს უნდა მიენიჭოს კრედიტების ის რაოდენობა, რაც სსსსუ -ში ანალოგიური მოცულობის სხვა სასწავლო კურსებს აქვთ).

9. თუ სტუდენტის მშობლიური უნივერსიტეტი იყენებს არა CTS კრედიტებს, არამედ განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ მოძიებულ უნდა იქნას ამ სისტემა შესაბამისობა საერთო ევროპულ CTS კრედიტების სისტემასთან. თუ სტუდენტის მშობლიურ უნივერსიტეტს არ გააჩნია საკრედიტო სისტემა, მაშინ სტუდენტის სასწავლო ბარათში მითითებული უნდა იყოს თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა (რამდენი კვირა ისწავლა სტუდენტმა ეს სასწავლო კურსი და კვირაში რამდენი საათი ეთმობოდა მას). აღნიშნულ საგანს უნდა მიენიჭოს კრედიტების ის რაოდენობა, რაც სსსსუ -ში ანალოგიური მოცულობის სხვა სასწავლო კურსებს აქვთ (კრედიტების მინიჭების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები).

10. შესაძლებელია, თითოეულ ფაკულტეტზე არსებობდეს კრედიტების აღიარების სხვა, დამატებითი რეგულაციები, რომლებიც უნდა შეთანხმდეს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და უნდა დამტკიცდეს აკადემიურ საბჭოზე.

სემესტრის განსაზღვრა აღიარებული კრედიტების მიხედვით: აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა განაგრძოს იმ სემესტრიდან, რომელიც შემოთავაზებულია ქვემოთ მოცემულ სქემაზე:

აღიარებული კრედიტი	შესაბამისი სემესტრი
0-15 კრედიტი	I სემესტრი
16-45 კრედიტი	II სემესტრი
46-75 კრედიტი	III სემესტრი
76-105 კრედიტი	IV სემესტრი
106-135 კრედიტი	V სემესტრი
136-165 კრედიტი	VI სემესტრი

თუ სსსსუ-მ სტუდენტს უღიარა 0-დან 14 კრედიტამდე და მან სწავლა უნდა განაგრძოს I სემესტრში, 240 კრედიტის დასაგროვებლად სტუდენტს მოუწევს დამატებითი, IX სემესტრის გავლა, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს. თუ სტუდენტს სურს რვა სემესტრში 240 კრედიტის დაგროვება, მაშინ გადმოსვლისას მას აღიარებული უნდა ჰქონდეს 15 კრედიტი მაინც.

სემესტრის განსაზღვრისას, ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას არა მხოლოდ კრედიტების რაოდენობა, არამედ ის სასწავლო კურსებიც, რომლებიც სსსსუ -ს კურიკულუმში სავალდებულოა, მაგრამ გადმოსვლის მსურველ სტუდენტს გავლილი ან აღიარებული არა აქვს.